ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა AR1184972 განცახების საფუძველზე თქვენთან წარმოებაშია დიდუბის 23-ში აშენებული კორპუსის ქალაქგეგმარებით პირობებთან დადასტურება. აღნიშნულ წარმოებაში კატეგორიულად მოვითხოვ, რომ გაითვალისწინოთ ჩემს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები. აგრეთვე AR1184632 განცხადებაში წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სადაც აშკარადაა გამოკვეთილი ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (აღნიშნული ფაქტი ცხადზე ცხადია).

შესაბამისად სსიპ არქიტექტურის სამსახური საქართველოს კონსტიტუციით და 57-ე დადგენილებით ვალდებულია მიიღოს ზომები აღნიშნული საფრთხეების აღმოსაფხვრელად.

მოგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მოსამართლე მირანდა ერემაძემ სასამართლო წარმოებაში მიიღო საქმე #3/3042-13 23 აგვისტო 2013წ. (აღნიშნული განჩინება წარმოდგენილია ჩემს მიერ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში 29.08.13 #12/13241128-16 განცხადებით).

მოსარჩელე: მარინე რუხაძე

მოპასუხე: ქ. თბილისის მერია და თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური.

დავის საგანი: არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 23 იანვრის #513785

გადაწყვეტილების და თბილისის მერიის 2013 წლის 15 ივლისის #1477 განკარგულების ბათილად ცნობა.

ზემოთ აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილების ალბათობა საკმაოდ დიდია და შესაბამისად სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე ჩემს მიერ მოთხოვნილი იქნება ქ. თბილისის მერიის განკარგულება #1183 - 12 ივნისი 2013წ. ძალადაკარგულად გამოცხადება. ვინაიდან აღნიშნული განკარგულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 23 იანვრის #513785 გადაწყვეტილება, კერძოდ ქ. თბილისის მერიის განკარგულებით #1183 - 12 ივნისი 2013წ. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების მუხლი 95. ექსპლუატაციაში მიღებისათვის მომზადებული შენობა-ნაგებობა-ის საფუძველზე ბათილად იქნას ცნობილი ზედამხედველობის სამსახურის 04.04.2013წ. #12/168-16 ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.

ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გამო გთხოვთ შეიკავოთ თავი დიდუბის 23-ში აშენებული კორპუსის მშენებლობის დადასტურებაზე. სასამართლოს მიერ საქმე #3/3042-13 კანონიერი გადაწყვეტილების მიღებამდე.

დანართი ახსნა-განმარტება #3/3042-13 საქმეზე

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მოსამართლე მირანდა ერემაძეს

მოსარჩელე მარინე რუხაძის მცხ. ქ. თბილისი
ზ. ჭავჭავაძის (ყოფილი შეროზიას) #9

ახსნა - განმარტება
/ №3/3042-13 საქმეზე /

მიმაჩნია, რომ სსიპ არქიტექტურის სამსახური აშკარად დაინტერესებულია მათი ყოფილი თანამშრომლის კახაბერ აბულაძის მიერ შესრულებული დიდუბის 23-ში აშენებული კორპუსის პროექტის ექსპლუატაციაში მიღებით და მოქმედებენ შემდეგი სქემით:

1. მიმაჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა 2013 წლის 22 იანვრის N:513785 გადაწყვეტილებით დაადასტურა ქ. თბილისში დიდუბის ქ. N:23-ში მშენებლობა დამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 11 სექტემბრის N:ბ-12/111404-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომში ექსპლუტაციაში მიღების მიზნით. რისი უფლებაც ზემოთ აღნიშნულ სამსახურს არ ჰქონდა. ერთი მთავარი გარემოების გამო. დიდუბის ქ. 23-ში აშენებული სახლის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობაში აღიარება და დადასტურება სრული უკანონობა იყო ვინაიდან ელემენტალურად არ იყო გასწორებული წითელი ხაზები, კერძოდ საპროექტო ტერიტორიაზე მომიჯნავე მიწისნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილი შემოჭრილი იყო საპროექტო წითელი ხაზის შიგნით. ეჭვი მაქვს, რომ ადგილი აქვს სამოხელეო დანაშაულს.
2. ზემოთ აღნიშნული დადასტურების შემდგომ ექსპლუატაციაში მიღების განხილვა ხდება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილების **მუხლი 95. ექსპლუატაციაში მიღებისათვის მომზადებული შენობა-ნაგებობა** 6. ქ. თბილისში შენობა-ნაგებობის (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) ექსპლუატაციაში მიღება აგრეთვე შესაძლებელია, თუ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ დამკვეთს უფლებამოსილი ორგანოს მიერ უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, თუმცა ნებართვის გამცემი ორგანო წერილობით დაადასტურებს განხორციელებული მშენებლობის შესაძლებლობას.

   95-ე მუხლით დიდუბის 23-ში აშენებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების განხილვა ხდება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 22 იანვრის N:513785 გადაწყვეტილებით, რაც არის მიზანმიმართულად გაკეთებული (რათა ელემენტალურად არ შექმნოდა რაიმე დაბრკოლება ექსპერტიზის მოთხოვნის სახით, პროექტის ავტორ კახაბერ აბულაძეს თანახმად საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილების 96-97 მუხლი სადაც ექსპერტიზის მოთხოვნა აუცილებელია).
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 22 იანვრის N:513785 გადაწყვეტილება არის უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ზ.ა.კ მუხლი 5. და ბათილად უნდა იქნას ცნობილი ვინაიდან არქიტექტურის სამსახურს არ ჰქონდა იურიდიული უფლება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 11 სექტემბრის N:ბ-12/111404-16 ბრძანებაში დაფიქსირებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 11.06.2012 წლის N:018096 ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით სხვა დარღვევების ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობაში დადასტურების შესახებ. მათ ამის უფლება ჰქონდათ მხოლოდ კონკრეტული და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის შემთხვევაში თანახმად 57-ე დადგენილების 62-ე მუხლის „1“ პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი და „3“ პუნქტის თანახმად. ამრიგად მე მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ჩადენილია დანაშაული და საფრთხე ექმნება ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
4. არავის აქვს უფლება ფიზიკური განადგურების შიშის ქვეშ აიძულოს იცხოვროს ადამიანმა, რაც ნათლადაა განსაზღვრული საქართველოს კონსტიტუციით 1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილებით (საერთოდ ადამიანების უსაფრთხოება პრიორიტეტია ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობაში და არის ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნა)

5. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 22 იანვრის N 513785 გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი შემდეგი შინაარსის:

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 04.04.2013წ. გამოსცა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი N12/168-16. სადაც აღნიშნულია უარის თქმის საფუძვლები ექსპლუატაციაში მიღებაზე კერძოდ: სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 11.06.2012 წლის N018096 ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შენობის კარკასის შემავსებელი კედლების კერამიკული ბლოკის წყობაში არ არის შესრულებული არმატურის ბადეებით ჰორიზონტალური არმირება. თვით კედლის კერამიკული ბლოკის სიმტკიცე დაბალია და ვერ აკმაყოფილებს სეისმომედეგი მშენებლობის მოთხოვნებს. ასეთნაირი კედლების კავშირის მოწყობა კარკასთან გაძნელებულია, ამიტომაც მიწისძვრისას შესაძლებელია კედლის დაძვრა თავის სიბრტყიდან. კედლებში შესაძლებელია ურთიერთგადამკვეთი დიდი გახსნილობის ბზარების გაჩენა (კვლევა ჩატარდა 11-ე სართულზე მარინე რუხაძის ფართში მდებარე შენობის კედლებზე).

აგრეთვე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N000762413 დასკვნაში მითითებულია „აშენებულ შენობასა და საანგარიშო სქემას შორის არსებული გარკვეული შეუსაბამობები და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მიღებული ცალკეული ტექნიკური გადაწყვეტები არ გვაძლევს შესაძლებლობას ერთმნიშვნელოვნად დადებითად შევაფასოთ აღნიშნული შენობის ტექნიკური მდგომარეობა. შესაბამისად ზედამხედველობის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს დიდუბის 23-ში მდებარე შენობა ნაგებობის ექპლუატაციაში მიღება ზემოთ აღნიშნული დარღვევების გამოსწორების თაობაზე ახლად აღმოჩენილი ან ახლადგამოვლენილი გარემოებების (იმავე საექსპერტო ბიუროს მიერ გაცემული ახალი საექსპერტო დასკვნა) წარმოდგენამდე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ზედამხედველობის სამსახურის მიერ 04.04.2013წ. გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი N12/168-16 გასაჩივრებული იქნა ი.მ.ა „დიდუბე 23“-ის თავჯდომარე ომარ აბულაძის მიერ და მათილად იქნა ცნობილი იმ მოტივით, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილების 95-ე მუხლის თანახამდ, როდესაც ნებართვის გამცემი ორგანო დაადასტურებს მშენებლობა დამთავრებული ობიექტის შესაბამისობას ქალაქგეგმარებით პირობებთან აუცილებელი არ არის კანონით ექსპერტიზის წარდგენა დარღვევით მშენებლობაზე. და საერთოდ აღნიშნულ შემთხვევაში დიდუბის 23-ში აშენებულ მრავალსართულიანი (14 სართულიანი) მაღალი რისკის შენობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის ზედამხედველობის სამსახურს აეკრძალა ომარ აბულაძისთვის სავალდებულო საექსპერტო შეფასების მოთხოვნა. ამრიგად სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური აშკარად ი.მ.ა „დიდუბე 23“ თავჯდომარე ომარ აბულაძის ბიზნეს პარტნიორის როლში გამოდის (ვინაიდან მისი შვილი და პროექტის ავტორი კახაბერ აბულაძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მერიაში მუშაობდა არქიტექტურის სამსახურში. და თავის ძველ კავშირებს, ნაცნობ მეგობრებს იყენებს მიზნის მისაღწევად). სიტუაცია იმდენად კომიკურია, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სამხარაულის 5 ექსპერტიზა და მერიის ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები ასახავს ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებსაც მიზანმიმართულად არ იზიარებს არც არქიტექტურის სამსახური და არც მერიის იურიდიული სასმსახური (ჩემი გონივრული ეჭვის საფუძველზე ორივე ზემოთ აღნიშნული სამსახური დაინტერესებულია დიდუბის 23-ში აშენებული კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებაზე)

6. სასამართლოს მივმართავ შუამდგომლობით, რათა გამოთხოვილ იქნას მერიის იურიდიული სამსახურიდან ზედამხედველობის მიერ 04.04.2013წ. N12/168-16 ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის (დანართი N:3) ბათილად ცნობის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების სრული ვერსია (სადაც ნათლად გამოჩნდება, რომ მერიის იურიდიულმა სამსახურმა მიუხედავად ჩემი მრავალჯერადი მიმართვისა საქმის წარმოებაში ჩართვის შესახებ; ჩემგან მალულად მოახდინა 04.04.2013წ. N12/168-16 ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. რისი უფლებაც მას კანონიერად არ ჰქონდა ვინაიდან მე ვარ დაინტერესებული მხარე და აშკარად იკვეთება ომარ აბულაძის მფარველობა).
7. მიმაჩნია რომ ქ. თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ გამოცემული 15.07.2013წ. N1477 განკარგულება ბათილად უნდა იქნას ცნობილი ვინაიდან საქმის წარმოებაში მონაწილეობდა არაუფლებამოსილი პირი - კახაბერ აბულაძე. აღნიშნული ფაქტი საქმის წარმოების საპროცესო დარღვევას წარმოადგენს და ხაზს უსვამს მამა შვილ ომარ და კახაბერ აბულაძეების მფარველობას მერიის იურიდიული სამსახურის მხრიდან.
8. მოგახსენებთ, რომ ერთერთი ფაქტობრივი გარემოებაა მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 30.08.2013 წელს N8-12/1320717-16 ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი რითაც ი.მ.ა „დიდუბე 23“-ის თავჯდომარე ომარ აბულაძეს უარი ეთქვა დიდუბის 23-ში აშენებული კორპუსის ექსპლუატაციაში მიღებაზე არქიტექტურის სამსახურის N872039 30.08.2013წ. დასკვნის (დანართი N4)საფუძველზე.

პატივისცემით,

მოსარჩელე მარინე რუხაძე